ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2021
I-VIII

მონიტორინგის ანგარიში

ევროპის უნივერსიტეტი

www.eu.edu.ge

სარჩევი

უნივერსიტეტის შესახებ 3
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი 4
მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით 6
ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება 6
უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება 9
სასწავლო პროცესის განხორციელებისა და ხარისხის ამაღლება, სწავლება - სწავლისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა 10
სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება 13
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება 16
უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება 20

უნივერსიტეტის შესახებ

ევროპის უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 2011 წელს გამოჩნდა და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და საერთაშორისო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში.

უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა

ევროპის უნივერსიტეტი არის ქუთაისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 250 სტუდენტისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი.

უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. უნივერსიტეტი 2021 წელს გახდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) , GUNi-ს ინოვაციური ქსელის და Businet გლობალური ქსელის წევრი. ევროპის უნივერსიტეტი ასევე არის ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE), ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE), ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის (ADEE) და პროგრამების ასოციაციის (ACM) აკადემიური წევრი.

ევროპის უნივერსიტეტი არის ერაზმუს + ჟან მონეს აქტივობების გამარჯვებული და წარმატებით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს.

უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტების ფარგლებში გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, რომლის ფარგლებშიც აქტიურად ხორციელდება ექსპედიციები და გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი "არქეოლოგია", აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და მნიშვნელოვანი არტეფაქტების გადარჩენასა და შენახვას.

2021 წელი ევროპის უნივერსიტეტისთვის იყო უაღრესად მნიშვნელოვანი წელი, ვინაიდან მთელი წლის მანძილზე აქტიურად ემზადებოდა რეავტორიზაციისთვის. რეავტორიზაციის პროცესი დაემთხვა პანდემიას, თუმცა არსებული გამოწვევების მიუხედავად ყველა სირთულესთან გამკლავება მოხერხდა და უნივერსიტეტს 2021 წლის 2 ივნისს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა უპირობა ავტორიზაცია, კერძოდ კი, 6 სტანდარტი შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაში ავტორიზაციის მოთხოვნებთან, ხოლო ერთი სტანდარტი, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

დოკუმენტში წარმოდგენილია ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიისა 2021-2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ანგარიში 2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის (იანვარი-აგვისტო)[1].

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2019 წელს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან სრულ ჰარმონიაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის, ორგანიზაციულ დონეზე, და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

[1] 2021 წლის სექტემბრიდან ევროპის უნივერსიტეტის წლიური სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი მიბმულია აკადემიურ წლებზე. 2021 წლის კალენდარული წლის სამოქმედო გეგმა დასრულდა 2021 წლის აგვისტოში და ანგარიშში შესულია იანვარ-აგვისტოს პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები.

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა;
- სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

უნივერსიტეტის 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიის დოკუმენტს და განსაზღვრავს საანგარიშო პერიოდის ამოცანებსა და მათ მისაღწევად შემუშავებულ ღონისძიებებს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა ძირითად მიგნებებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის ფარგლებში ხდება ამოცანების შესრულების პროგრესის მონიტორინგი და საბოლოო წლიური შეფასება. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და პირს ეგზავნება სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ფორმა, სადაც ახდენენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების პერიოდის შემდეგ ხდება უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია, ცვლადებსა და ინდიკატორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა და ანალიზი. მონიტორინგის პროცესი არის ღია და მიმდინარეობს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პროცესებზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შეფასების ეტაპზე და აქტიურ სამუშაო რეჟიმში წარმოადგინონ საკუთარი ხედვები შეფასებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ღონისძიებას ენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია სრულად, შესრულებულია ნაწილობრივ და ვერ შესრულდა. ღონისძიებების შესრულების სტატუსის შესაბამისად შეფასებები ავტომატურად ენიჭება სამოქმედო გეგმის წლიურ ამოცანებს:

- შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 50%-ზე მეტი შესრულებულია;

- ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 50-ზე მეტი არ შესრულდა.

ღონისძიებებისთვის საბოლოო სტატუსების მინიჭებას ახდენს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით და რომლის შემადგენლობაშიც შედიან რექტორი, ვიცე-რექტორები, სტრატეგიული განვითარების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიული სამსახურის უფროსები. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.

მონიტორინგის ჯგუფი ღონისძიებების სტატუსის მინიჭების დროს ითვალისწინებს ღონისძიებების სირთულეს, მნიშვნელობასა და შესრულების ხარისხს.

წლიური მონიტორინგის ანგარიში განხილვის მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს. წლიური ანგარიშის საფუძველზე, ჯგუფის რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინებით, მმართველმა საბჭომ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების შესახებ, ასევე ანგარიშში ასახული შეუსრულებელი ღონისძიებების შემდგომ საანგრიშო პერიოდის სამოქმედო გეგმაში დამატების შესახებ, თუ ღონისძიების შესრულების საჭიროება ისევ დგას.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში სრულად შესრულდა 12 და ნაწილობრივ შესრულდა 10 ამოცანა. ის ამოცანები, რომელსაც ვერ შესრულების რისკები ჰქონდა, ნაწილობრივ შესრულებულ ამოცანებთან ერთად 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვან პრიორიტეტებად განისაზღვრა.

მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით

ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

- **უნივერსიტეტის ცნობადობისა და მის მიმართ ნდობის ამაღლება**

2021 წლის განმავლობაში, ევროპის უნივერსიტეტი ფართოდ იყო წარმოდგენილი ონლაინ მედიაში. სისტემატურად შუქდებოდა უნივერსიტეტის ღონისძიებები შემდეგ ვებ-გვერდებზე: FrontNews.ge ghn.ge timer.ge kvira.ge interpressnews.ge edu.aris.ge. ამასთან, საკმაოდ მაღალი იყო სატელევიზიო ჩართულობა. ტელევიზიებიდან უნივერსიტეტის ღონისძიებები გააშუქა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ტელეკომპანია „იმედმა“ და „რუსთავი 2-მა“.

უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდის მიზნით, სოციალურ ქსელში ყოველდღიურად ხდებოდა ინფორმაციის განახლება და მნიშვნელოვანი პროექტების გაზიარება.

უნივერსიტეტის პროგრამებისა და გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით დამზადდა ბანერები, რომელიც გადაზიარდა სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედიაში.

პერმანენტულად მიმდინარეობდა ფაკულტეტების მიერ დაორგანიზებული პროექტებისა და კონფერენციებისა გაშუქება ონლაინ სივრცეში- (სოციალურ ქსელებსა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე). აგრეთვე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შესაბამისი წესით გაფორმება და ფოტო-ვიდეო გადაღება.

აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით, უშუალოდ საგამოცდო ადგილებში მოხდა ევროპის უნივერსიტეტის საინფორმაციო ტრიპლეტების დარიგება. (თბილისის ყველა ლოკაციაზე, ქუთაისის ლოკაციებზე, ზუგდიდში, ბათუმში და რუსთავში). ჯამში დარიგდა 50 000 ტრიპლეტი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ევროპის უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტებს გადაეცათ სასაჩუქრე ჩანთები - უნივერსიტეტის ბრენდირებული აქსესუარებით. აგრეთვე, საჩუქრები გადაეცა პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებს.

- **უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება**

ევროპის უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების თვალსაზრისით, მთელი წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა. კერძოდ, საფრანგეთის საელჩოსთან კოლაბორაციით ჩატარდა ესსეების კონკურსი, რომელსაც ესწრებოდნენ ევროპული ქვეყნის ელჩები და მათი წარმომადგენლები.

აგრეთვე, უწყვეტი განათლების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა პროფესიული გაძლიერების მიზნით, მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა უფასო ტრენინგები საქართველოს მასშტაბით, ევროპის უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

2021 წლის ივლისი - აგვისტოს პერიოდში ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი და ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ოხერახევის სამაროვანზე (მცხეთის მუნიციპალიტეტი). ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციაში განთავსდა ლაბორატორიულად დამუშავებული ნივთები.

გამზადდა და დასაბეჭდად გადაიცა - ევროპის უნივერსიტეტის ,,კალენდარი 2022“, ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც წარმოდგენილი იყო ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის მონეტები. დამატებით გამოიცა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალ ,,არქეოლოგიის“ს მე-5 ნომერი, სადაც დაბეჭდილია 2020 წელს ოხერახევის ნაქალაქარსა და სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.

- **ადგილობრივი სტუდენტების/აბიტურიენტების მოზიდვა**

ადგილობრივი სტუდენტებისა და აბიტურიენტების მოსაზიდად, ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ მოხდა შეხვედრების ორგანიზება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში. ღონისძიების ფარგლებში პირველ ეტაპზე განხორციელდა 3 რეგიონის - სამეგრელოს რვავე მუნიციპალიტეტის, იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტის, კახეთის რვავე მუნიციპალიტეტის სკოლებში ვიზიტები. პრეზენტაციებს ესწრებოდნენ 10,11,12 კლასელები. შეხვედრა განხორციელდა დაახლოებით 200 სკოლაში, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 5000-მდე მოსწავლე. მათ შეხვედრის ბოლოს გადაეცათ უნივერსიტეტის ბრენდირებული მასალა.

- **საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა**

საერთაშორისო აბიტურიენტთა და სტუდენტთა მოზიდვის მიზნით, აგრეთვე, უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მიმართულებით უნივერსიტეტმა განახორციელა აქტიური კამპანია. საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება 30-მდე აგენტთან, რომლებიც წარმოადგენენ აზიის, აფრიკის და ევროპის კონტინენტებს. განხორციელდა ონლაინ და პირისპირ შეხვედრა ათეულობით აგენტთან. მათ შორის ივლისის პერიოდში იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში განხორციელდა ორი სამუშაო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტიტეტის პრეზიდენტი და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი შეხვდნენ 14 ორგანიზაციის წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდისთვის, იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში საქართველოს ბაზარი მოთხოვნადობით იყო მე-2 ბაზარი ეგვიპტის შემდეგ.

უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია აიტვირთა Times Higher Education World University Rankings (THE)სისტემაში.

ფაკულტეტების პოპულარიზაციისა და სტუდენტთა კონტიგენტის გასაზრდელად აქტიურად გამოიყენებოდა საგანმანათლებლო პორტალები: KeyStone academic, Uniagents და agentpartnership. 2021 წლისთვის დამატებულია ახალი პლატფორმა - studyportals.eu, რომელთა უშუალო მონაწილეობით დამზადდა ახალი ვებგვერდი ევროპის უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის და პერმანენტულად ხდება მისი პოპულარიზაცია ინტერნეტ სივრცეში. აგრეთვე, უნივერსიტეტი თანამშრომლობს uniagents.com-თანაც.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება

- **უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა**

2021 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამების განახლებისა და სააკრედიტაციოდ მომზადების სამუშაო პროცესები. კერძოდ, ამ პერიოდისთვის მენეჯმენტის სამაგისტრო, სტომატოლოგიის ქართულენოვანმა და ინგლისურენოვანმა პროგრამებმა მიიღო აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

ამასთან, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი იყო არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარება.

- **ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია**

ახალი პროგრამების შემუშავების მიზნით, ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და რესურსების ანალიზი სამართლის, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო, არქეოლოგიის, ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული პროგრამების ფარგლებში.

ევროპის უნივერსიტეტის მიერ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო და საბაზო-საშუალო საფეხუროს მათემატიკის/საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამები, ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა საანგარიშო პერიოდში წარსდგა სააკრედიტაციოდ.

- **პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და დანერგვა**

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სტუდენტებისთვის არსებული გაცვლითი პროგრამების შენარჩუნებისა და ახალი ლოკაციების მოძიების მიმართულებით. კერძოდ, დამატებით გაფორმდა ერასმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის ხელშეკრულება პარ საუნივერსიტეტო კოლეჯთან (ხორვატია). აპრილი, მაისი, ივნისის თვეებში გაფორმდა 7 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან. ესენია: დასავლეთ ბრეტანის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), Ala-Too-ს საერთაშორისო უნივერსიტეტი (ყაზახეთი), სინციანის სამედიცინო უნივერსიტრტი (ჩინეთი), პარ საუნივერსიტეტო კოლეჯი

(ხორვატია), ხმელნიცკის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა), ხორტიციის ეროვნულინ აკადემია (უკრაინა), იაროსლავ მუდრის ეროვნული სამართლის უნივერსიტეტი (უკრაინა). გარდა აღნიშნულისა, 2021 წელს ევროპის უნივერსიტეტის 6-მა სტუდენტმა ისარგებლა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული გაცვლითი პროგრამებით ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად.

სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის მიზნით, ევროპის უნივერსიტეტის მიერ დაორგანიზდა ორკვირიან ლექციათა სერია, რომელსაც წარუძღვა სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ლექციათა სერიას დაესწრო 100-მდე სტუდენტი ევროპის უნივერსტიტეტიდან.

პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დამატება. ამ მიზნით ინგლისურენოვანი კურსები დაემატა საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმატიკის, სამართლის, სტომატოლოგიისა და დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი, მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებს.

სასწავლო პროცესის განხორციელებისა და ხარისხის ამაღლება, სწავლება - სწავლისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა

- **სწავლება-სწავლისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა**

აღნიშნული მიმართულებით პერმანენტულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც ევროპის უნივერსიტეტის ეგიდით არაერთხელ მომზადდა ახალი ტრენინგ მოდულები და მათზე დაყრდნობით ჩატარდა ტრენინგები სწავლების ინოვაციური მეთოდების შესახებ. კერძოდ, 2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის ჩატარებულია 30-მდე ტრენინგი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების, სწავლების თანამედროვე მეთოდების, შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების შესახებ.

- **პრაქტიკული სწავლების ცენტრების, ლაბორატორიების დაფუძნება და არსებულის განვითარება**

მოცემული აქტივობის ფარგლებში აღსანიშნავია სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის არეალის გაფართოვება. კერძოდ, გაწეულ იქნა 100-ზე მეტი იურიდიული კონსულტაცია, შექმნილია 20 იურიდიული დოკუმენტი, მომზადდა კანონპროექტი. ცენტრში მიმდინარეობდა მუშაობა სტრასბურგის სარჩელზე, ამასთან ჩატარდა ორი ღონისძიება, რომელსაც ჯამში 100-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ ცენტრის პრაქტიკაში 2021 წელს პირველად დაფიქსირდა სისხლის სამართლის საქმე.

გარდა ამისა, მედიცინის ფაკულტეტზე განახლდა Body Interact-ის ლიცენზია. გაფორმდა შეთანხმება მომდევნო ერთი წელზე, დაემატა და სრულად აღიჭურვა 3 სტომატოლოგიური სასწავლო კაბინეტი, ხოლო სიმულაციურ ცენტრში დამონტაჟდა საგამოცდო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

მოწყობილია და სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილია ფიზიკის ლაბორატორია, დაფუძნდა ტურიზმის ცენტრიც.

- **გარე პრაქტიკის გაძლიერება**

გარე პრაქტიკის გაძლიერებისა და კლინიკური ბაზების რაოდენობის გაზრდის მიმართულებით ევროპის უნივერსიტეტის მიერ გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი. კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში ხელშეკრულება დაიდო შემდეგ ახალ კლინიკებთან - ზოდელავას სახელობის სისხლის ბანკი; ქართულ - ამერიკული ორთოპედიული ცენტრი ბრეინ ჰაუსი; პი ემ დენტალი; ქიფ სმაილი; კურაციო; რეიმანი. ამასთან, დამატებით 2 კლინიკასთან დაიდო ზოგადი ხასიათის მემორანდუმი, ხელახლა გაფორმდა 28 ხელშეკრულება.

მედიცინის ფაკულტეტზე მაისში გაფორმდა მემორანდუმი ,,საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანებასთან'', სამართლის ფაკულტეტზე საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, ჯამურად გაფორმებულია 80-მდე ახალი მემორანდუმი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, განათლების ადმინიტრირების პროგრამაზე გაფორმებულია 20 ახალი მემორანდული სკოლებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან. ტურიზმისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებზე გაფორმდა თითო ახალი მემორანდუმი ,, სასტუმრო რადისონ ბლუ ივერიასთან" და „სპექტრუმთან“. ამასთან, საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო და საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გაფორმდა 17 მემორანდუმი, ხოლო განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 21 მემორანდუმი.

- **აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა**

2021 წლის მონაცემებით, უნივერსიტეტის პერსონალისთვის ორგანიზებულია ტრენინგები პლაგიატის შესახებ (პროგრამით სარგებლობის წესები და ა.შ.). აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში გადამზადებულთა რიცხვი შეადგენს იმ პერსონალის 66%-ს, ვინც იყენებს მოცემულ პროგრამას სასწავლო კურსების ფარგლებში.

გარდა აკადემიური პერსონალისა, აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით საინფორმაციო შეხვედრები ორგანიზებულია სტუდენტებისთვისაც. კერძოდ, ბიზნესისა, სამართლის და მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 100-ზე მეტ სტუდენტთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრა.

პლაგიატის ამომცნობი პროგრამის სწავლებისა და შეფასების პროცესში ფართო გამოყენების უზრუნველყოფისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ საუნივერსიტეტო კამპანიის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა ფაკულტეტზე ფართოდ გამოიყენებოდა პლაგიატის ამომცნობი პროგრამა შესაბამისი წერითი დავალებების (რეფერატები, ანალიტიკური ესსეები/საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომები და ა.შ.) შემოწმების პროცესში. თითოეულ ფაკულტეტზე წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების 100% შემოწმებულია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, რაც აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება**

2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის, უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად განხორციელებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება. აღნიშნული პერსონალი შეფასებულია სრულად.

2020-2021 აკადემიურ წელს სრულად მოხდა ყველა ახალი ლექტორის ლექციაზე დასწრება და შეფასება. შემუშავდა შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც რეაგირებისათვის გაეგზავნათ ფაკულტეტებს. მათგან მიღებულია შესაბამისი რეაგირების ანგარიშები.

2020-2021 აკადმეიურ წელს განხორციელებული საგამოცდო პროცესი სრულად არის შეფასებული. მომზადებულია შესაბამისი ანალიზი და გაზიარებულია საგამოცდო ცენტრთან. ცენტრის მიერ წარმოდგენილია შედეგებზე რეაგირების ანგარიშები. ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე გამოკითხული სტუდენტების 100% კმაყოფილი ან ძალიან კამყოფილია საგამოცდო პროცესების ორგანიზებით. განსხვავებული სურათია მედიცინის ფაკულტეტზე, სადაც, გამოკითხულ სტუდენტებში კმაყოფილების დონე (უცხოენოვან სტუდენტებში) მცირედით ჩამორჩება 80%-ს. საერთო ჯამში საგამოცდო პროცესის ორგანიზებით კმაყოფილი, ძალიან კმაყოფილი ან მეტ-ნაკლებად კამყოფილია გამოკითხული სტუდენტების 70%.

ამასთან, შეფასებულია კლინიკებში კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხი. გამოკითხვის შედეგად, საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა.

რაც შეეხება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, ევროპის უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. გამოკითხული სტუდენტების 86% კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილი იყო უნივერსიტეტში არსებული გარემოთი, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის შეფასებისას, სტუდენტთა 83%-მა დადებითად შეაფასა კონკრეტული პრაქტიკების შესრულება.

სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

- **სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა**

ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულია საჯარო ლექციები, ვორქშოფები და დისკუსიები წამყვანი ექსპერტების, სამოქალაქო აქტივისტებისა და ამ მიმართულებით მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში ჩატარებულია რამდენიმე საჯარო ლექცია, რომელთა ძირითად თემატიკას წარმოადგენდა გენდერული საკითხები, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა და სამედიცინო მიმართულება - სტომატოლოოგიის ფოკუსით. ამასთან, ჩატარებულია საჯარო ლექცია, სადაც ძირითადი აქცენტი დაისვა ვაქცინაციასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

- **სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული სერვისების განვითარება**

საანგარიშო პერიოდისთვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ჩაშენდა eflow მოდული, ასევე ჩაშენდა და ამოქმედდა ახალი Moodle სისტემა.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის ბაზაში ჩაშენდა ახალი მოდული, რომელიც იძლევა ინტეგრირებული საგნების ნაწილობრივ აღიარების შესაძლებლობას.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გადამზადების მიზნით, ელექტრონული სერვისებით სარგებლობის წესების შესახებ სტუდენტებთან ჩატარდა 10-მდე შეხვედრა და ელ.ფოსტაზე გაუზიარდათ გზამკვლევი ბაზით სარგებლობის წესების შესახებ.

- **სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა**

აღნიშნული მიმართულებით, ევროპის უნივერსიტეტის მიერ ჩატარდა მასტერკლასი საერთაშორისო სტუდენტებისთვის თემაზე: „LinkedIn პლატფორმის მნიშვნელობა კარიერული განვითარებისთვის“ და საჯარო ლექცია თემაზე „ეფექტური რეზიუმეს ფორმატი“. ასევე, განხორციელდა კარიერული მასტერკლასი თემაზე: "საკუთარი უნარების გაყიდვები და ორგანიზაციული კულტურა".

სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიეწოდათ ინფორმაცია 50-ზე მეტი პროფილური და ექსკლუზიური ვაკანსია დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით. ამასთან, წლის განმავლობაში ევროპის უნივერსიტეტის მიერ გაზიარდა ინფორმაცია სამი დასაქმების ფორუმის შესახებ.

უნივერსიტეტში მოქმედებს ცენტრი, სადაც სტუდენტებისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციების სერვისით სარგებლობა. აღნიშნულმა ცენტრმა საანგარიშო პერიოდისთვის 30-ზე მეტ სტუდენტს გაუწია კარიერული მომსახურება.

- **ექსტრაკურიკულარული პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა**

ევროპის უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული გამოცდილების შეთავაზება საკუთარი სტუდენტებისთვის. ამ თვალსაზრისით, მედიცინის ფაკულტეტზე, სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მე-5 - მე-10 სემესტრის სტუდენტებისთვის კონკურსი გამოცხადდა, რომლის გამარჯვებულმა სამმა სტუდენტმა კლინიკა "ალბიუსში'' და კლინიკა "ჰეფი დენტში" პრაქტიკა გაიარა. ამასთან, მედიცინის ფაკულტეტზე გამოცხადდა კიდევ ერთი კონკურსი სტუდენტებისთის, შედეგად ევროპის უნივერსიტეტის 16 სტუდენტმა გაიარა სტაჟირება ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალის სხვადასხვა განყოფილებაში.

ამავე წელს, მედიცინის ფაკულტეტი ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის ინსტიტუციური წევრი გახდა, რის შედეგადაც სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ასოციაციის მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა აქტივობებში.

სოციალური მეწარმეობის იდეის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტთან ერთად შემუშავებულია ტრენინგ სერია და შეთავაზებულია სტუდენტებთან. აღნიშნული ციკლის ფარგლებში, 2021 წლის მაისში ჩატარდა საჯარო ლექცია, სადაც შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სოციალური საწარმოს არსი, მნიშვნელობა, მისი სამართლებრივი რეგულირება, სოციალური მეწარმეობის სფეროსთან დაკავშირებული

ძირითადი გამოწვევები. განხილული იქნა, ასევე, პრაქტიკული მაგალითები საქართველოს, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის გამოცდილებიდან.

- **სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და ლოიალობის ზრდა**

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ყოველთვიური შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც განიხილებოდა მომავალი თვის სტუდენტური აქტივობების გეგმა. სტუდენტების მხრიდან წარმოდგენილი იყო უკუკავშირი მიმდინარე ღონისძიებებთან დაკავშირებით. მძიმე პანდემიური ფონის გათვალისწინებით, მოცემული შეხვედრები რიგ შემთხვევებში ტარდებოდა ზუმის პლატფორმის მეშვეობით.

გარდა ამისა, სტუდენტთა მეტი ჩართულობისა და ლოიალობისთვის, 2021 წლისთვის ჩატარებდა შესაბამისი კვლევები და დაინტერესებული პირების მხრიდან იდენტიფიცირებულია მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხები. სტუდენტთათვის მთელი წლის განმავლობაში შეთავაზებული იქნა მათი მოთხოვნის შესაბამისი ტრენინგები, ვებინარები, საჯარო ლექციები და ვორქშოფები.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან აქტიურად ზიარდებოდა Newsletter-ი, რომელიც აჯამებდა უნივერსიტეტის მასშტაბით გასულ თვეში განხორციელებულ აქტივობებს და შესაბამის აუდიტორიას აცნობდა მომავალი თვის გეგმებს.

- **სტუდენტური გუნდების განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა**

ევროპის უნივერსიტეტის ხელშეწყობით, დაკომპლექტდა და სრულიად აღიჭურვა ფრენბურთისა და ფუტსალის გუნდები. აღნიშნული გუნდები ინტენსიურად ვარჯიშობდნენ მთელი წლის განმავლობაში. თითოეულმა მათგანმა წარმატებით იასპარეზა საქართველოს ჩემპიონატებში.

ამასთან, ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებითა და სტუდენტთა ფიზიკური თუ გონებრივი აქტივობების სტიმულირების მიზნით, 2021 წელს დაიგეგმა სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, თუმცა სტუდენტთა მიერ მომზადებულმა ვერცერთმა პროექტმა ვერ გადალახა სპეციალური კომისიის დადგენილი 7 ქულიანი ბარიერი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება

- **უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების პერიოდული გადახედვა**

ევროპის უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების განახლების მიზნით, აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მოხდა მონაცემების განახლება HR SOFT-ზე.

ამასთან, დეკანებთან და კვლევითი ინსტიტუტიების ხელმძღვანელებთან გაზიარდა ადგილობრივი და საერთაშორისი სამეცნიერო ფონდების პრიორიტეტული მიმართულებების აღწერითი ანალიზი.

სამართლის ფაკულტეტზე მოხდა შეხვედრის დაორგანიზება კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელთან და სამართლის კვლევითი ცენტრის დირექტორთან, რის შემდეგაც დაიდენტიფიცირდა ახალი პრიორიტეტული მიმართულებები, საიდანაც ყურადღება იქნა შეჩერებული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების კვლევაზე.

- **სამართლის კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია**

2021 წლისთვის, სამართლის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადდა 2 მნიშვნელოვანი პროექტი, საიდანაც ერთი წარედგინა იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საგრანტო პროგრამაში „ადამიანის უფლებების გაძლიერების, ინოვაციური სერვისების დანერგვის, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია - რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის მიმართულებებით“, ხოლო მეორე პროექტი წარდგენილ იქნა ბულგარეთის საელჩოში - „The Legal Literacy of Secondary Schools Pupils Through the Creation of an Online Information Platform Related to Cybersecurity, Prevention of Antisocial Habits, and Criminal Behavior of Juveniles“

ინსტიტუტისა ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე საჯარო ლექცია და ვებინარი შემდეგ თემებზე - პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სტრასბურგის მიერ რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. აგრეთვე, გაიმართა დისკუსია თემაზე - კერძო სექტორი და შრომითი რეგულაციები.

ევროპის უნივერსიტეტისა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე "მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“. ამავე პერიოდისთვის შეიქმნა და გამოიცა სახელმძღვანელო - „კონცენტრაციების კონტროლი საქართველოში“.

- **მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია**

აღნიშნული მიმართულებით, ევროპის უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გახლდათ მედიცინის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის განვითარება. საანგარიშო პერიოდისთვის, გამოიცა ჟურნალი „BIOMEDICAL AND MEDICAL SCIENCES”-ს ბეჭდური ვერსია, ხოლო მისი მონაცემები წარედგინა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზა “ERIKH+”-ში, რომელიც რეკომენდებულია და აღიარებულია რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ როგორც მაღალ რეიტინგული ჟურნალების განმათავსებელი ელექტრონული ბიბლიოთეკა. 2021 წლისთვის მომზადდა ჟურნალის სამი ნომერი, ციტირების ინდექსი ინარჩუნებდა ზრდადობას.

მედიცინის კვლევითმა ინსტიტუტმა მოიპოვა რუსთაველის ფონდის დაფინანსება პროექტში "მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსზე".

ამასთან, ევროპის უნივერსიტეტის დაფინანსებით 2021 წლისთვის მიმდინარეობდა პროექტი: "Observation on Tuberculosis Preventive Treatment Georgia", რომელშიც ჩართული იყო 605 სუბიექტი.

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის სამედიცინო გენეტიკის მიმართულებით, 2-კვირიანი ონლაინ ლექციების სერია გაიმართა, რომელსაც სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტის (სოფია, ბულგარეთი) პროფესორები უძღვებოდნენ. სალექციო კურსი ისეთ მნიშვნელოვან თემებს მოიცავდა, როგორებიცაა: უროლოგიური ანატომია მედიცინის სტუდენტებისათვის, ალკოჰოლი და ძილი, გულის უკმარისობა, C ჰეპატიტის ელიმინაციის წარმატებული მოდელი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ლექციების სერია ევროპის უნივერსიტეტსა და სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტს შორის არსებული ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა.

ევროპის უნივერსიტეტისა და ALA-TOO-ს საერთაშორისო უნივერსიტეტის (ბიშკეკი, ყირგიზეთი), საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურების ორგანიზებით, საჯარო ვებინარი გაიმართა თემაზე: “კოვიდ-19-ის მკურნალობა”. ვებინარის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის თანახელმძღვანელმა, ეკატერინე ჯაბუამ მოხსენება წარადგინა თემაზე - “პოსტ-კოვიდ-19-ის სიმპტომები”.

- **გლობალიზაციის , ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია**

2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის, ევროპის უნივერსიტეტის მიერ დაფინანსების მოსაპოვებლად მომზადდა 3 განაცხადი:

1. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო საგრანტო კონკურსისათვის განაცხადი მონოგრაფიის მომზადებაზე: „ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია“,
2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2021 წლის კონკურსისათვის განაცხადი: "საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“,
3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2021 წლის კონკურსისათვის განაცხადი: "პოსტპანდემიის პერიოდში ევროკავშირის ქვეყნების ბიზნესგარემოს სოციოკულტურული დეტერმინანტები და სამართლებრივი რეგულირების პრობლემები"

ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტისა და ხერსონის სახელმწიფო აგრარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის (უკრაინა) ორგანიზებით, საერთაშორისო კოლექტიური მონოგრაფია მომზადდა სახელწოდებით "სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები და მათი განხორციელების მექანიზმები ეკონომიკური დაუცველობისა და გლობალიზაციის ცვლილებების პირობებში". საერთაშორისო კოლექტიურ მონოგრაფიას საფუძვლად სამეცნიერო კვლევების სფეროში ორი ინსტიტუციის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა დაედო.

დაუგავპილსის უნივერსიტეტის დაფინანსებით განხორციელდა ერთობლივი სამეცნიერო პროექტი პანდემიის პირობებში ლატვიის და საქართველოს სტუდენტების სამეწარმეო პოტენციალის კვლევის შესახებ. კვლევა დასრულდა და გამოქვეყნდა პირველი ერთობლივი სტატია რეიტინგულ ჟურნალში.

გარდა აღნიშნულისა, ინსტიტუტის ორგანიზებით მოეწყო 2 პანელური დისკუსია: „გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები და სტუდენტური სამეწარმეო პოტენციალის განვითარება“ და "შრომის ბაზრისა და სამეწარმეო აქტიურობის განვითარების თანამედროვე გამოწვევები“. აგრეთვე, მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ ენაზე - საბანკო მარკეტინგი.

ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულია VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში“.

- **კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირების ხელშეწყობა**

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით კვლევითი გრანტებისა და სტიპენდიების შესახებ, მთელი წლის განმავლობაში პერმანენტულად ზიარდებოდა ელ. ფოსტის მეშვეობით აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და მეცნიერ-თანამშრომლებთან ინფორმაცია საგრანტო პროგრამების, კონფერენციების, ვორქშოპებისა და სემინარების შესახებ.

ევროპის უნივერსიტეტში მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით კვლევითი საგრანტო კონკურსების შესახებ ივნისის პერიოდში განხორციელდა 5-ზე მეტი კონსულტაცია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის თანამშრომლებთან შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის, აშშ-ს საელჩოს და ბულგარეთის საელჩოს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამების შესახებ.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა მასტერკლასები პროექტის წერისა და პროექტის ბიუჯეტირების თემაზე, კერძოდ, "მონაცემთა ანალიზი SPSS-ში“, „კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“.

- **კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება და ხელშეწყობა**

სტუდენტთა სამეცნიერო - კვლევითი აქტივობის სტიმულირების მიმართულებით, გაიმართა მე-7 სტუდენტური კონფერენცია ფაკულტეტზე, გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ პრიზები.

ამასთან, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა მე-8 სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია - "ბიზნესმენეჯმენტის და ტექნოლოგიური განვითარების გამოწვევები: პოსტპანდემიური პერიოდის თავისებურებები“, რომელშიც ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 8 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა

მედიცინის ფაკულტეტზე, ორი სტუდენტი აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ 2 წლიან კვლევით პროექტში. აქვე, ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა მე-10 სტუდენტური კონფერენცია, სადაც მოხსენება გააკეთა მედიცინის ფაკულტეტის 15-მა სტუდენტმა. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის ,,Biomedical and Core Clinical Research Practice'' მე-3 ნომერზე.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება

- **ორგანიზაციის მართვა**

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, წლის განმავლობაში მუდმივად იგეგმებოდა ორგანიზაციული კულტურის განსავითარებელი ღონისძიებები. კერძოდ, ევროპის უნივერსიტეტის მიერ ხდებოდა თანამშრომლებისთვის დაბადების დღეებისა და დღესასწაულების მილოცვა. ასევე, პერსონალს ელექტრონულად ეგზავნებოდა სერტიფიკატები პროფესიულ დღეებში.

HR Soft-ის დახმარებით ჩატარებულია პერსონალის შეფასება, სადაც შეფასდა დაახლოებით 80 თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 3%-ს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ მომზადდა ანგარიში, პერსონალთან განხორციელდა უკუკავშირი და შესაბამისი რეაგირება. ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი, თანამშრომლებს გადაეცათ სიგელები და ფულადი ჯილდოები.

რაც შეეხება კმაყოფილების კვლევას, პერსონალის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის კმაყოფილების დონე საკმაოდ მაღალია 2021 წლის ოთხივე კვარტლის მონაცემებით.

- **ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) მოზიდვა**

ევროპის უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვა და დაქირავება, რომლის განხორციელების მიზნითაც უნივერსიტეტმა არაერთხელ მიიღო მონაწილეობა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე. ამასთან, მთელი წლის განმავლობაში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საერთაშორისო გამოცდილების მქონე კანდიდატურებთან ადმინისტრაციული თუ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

გამოცხადდა ორი ახალი კონკურსი თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სავეტერინატორო მედიცინისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე.

- **ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა**

ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების საფუძველზე მათი პროფესიული საჭიროებების გამოვლენის მიზნით, თანამშრომლებთან გაიგზავნა 2021 წლის შეფასების რეპორტი და უკუკავშირის სესიის შესახებ ინფორმაცია. მათთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს განისაზღვრა პროფესიული განვითარების გეგმა. ასევე,

განმავითარებელი ღონისძიებების ფარგლებში, მაისში განხორციელდა Google drive-ის მართვის ტრენინგი, რომლის ვიდეო ჩანაწერიც გაზიარდა ადმინისტრაციულ პერსონალთან. ამასთან, 2021 წელს მოხდა თანამშრომელთა გადამზადება ინგლისურ ენაში.

- **უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების განვითარება**

2021 წლის მონაცემებით, შემუშავებულია ახალი საუნივერსიტეტო კამპუსის პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, რომელიც ამოქმედდება 2022 წლიდან.

ნაწილობრივ მოეწყო საბიბლიოთეკო და საკონფერენციო სივრცე.

- **საინფორმაციო - ტექნოლოგიური რესურსის განვითარება**

აღნიშნული მიმართულებით, 2021 წლისთვის შეიქმნა ქსელების უსაფრთხოებისა და მონაცემთა სარეზერვო ასლები, აგრეთვე, შეძენილი და დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის განახლებით კუთხით, მუშაობა საანგარიშო პერიოდისთვის დაიწყებულია, თუმცა არ არის ბოლომდე უზრუნველყოფილი.

ამასთან, მოდიფიცირდა და დაიხვეწა HR Soft -ის ზოგიერთი ველი. კერძოდ, დაემატა დაბადების დღეების პანელი, განახლდა და შეივსო ინფორმაციულად, ასევე დაემატა კითხვარების პანელი. მიმდინარეობს ჩეთის და დიზაინის შექმნა.

ევროპის
უნივერსიტეტი

(+995 32) 2 000 171

info@eu.edu.ge

www.eu.edu.ge